ხუთშაბათი 23 სეკდემბერი, 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904

ხუთშაბათი, 23 სეკდემბერი, 1904 წ.

ბაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 219 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 219

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბურთალოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

ზორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—38).

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—12).

ექიმი ქალი

მარიამ ნიკოლოზის ასული

ზაალიშვილისა

გადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში.

(2—2).

საჭიროა

მასწავლებელი ქალი

წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის სკოლისათვის.

მასწავლებელს ექნება ჯამაგირი 360 მან. მსურველთ მიმართონ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. (Тифлисъ. Общество грамотности).

საადგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 23 სეკდემბერს

წარმოდგენილი იქნება

„დემონი“

ოპერა 3 მოქ. მუს. რუბინშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დიმიტრიევა-პოკასოვსკისა, ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ბაჟენოვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალინსკი და სხვ.

ლეკურს ითამაშებს ქ-ნი **პერინი** და ბ-ნი **ალექსიძე**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 23 სეკდემერს,

წარმოდგენ. იქნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსი.

შაბათს, 25 სეკდემბერს,

წარმოდგენილი იქნება

ლაკმე

ოპერა 3 მოქმედ., მუსიკა დელიბასი.

ის ბილეთები, რომელებსაც 24 სეკდემბრის შტემპელი აზის, გამოდგება 25 სეკდემბერს.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელლერი.

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ.

უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

ნაფიცი ვექილი

გვაზავა

გადავიდა ლორის მელიქოვის ქ. მესხიშვილის სახლში, № 18.

5—5

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

ლ. ი. კამოევი—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

მ. ი. ქიმონტი—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

მ. ქ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ლ. მ. მონინი. ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

ვ. ს. მუსხელაშვილი—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

საღამოთი:

ბრ. ვ. სობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

ტ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—ლორის-მელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

მ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ზ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

მუკდენი და ტელინი.—პორტ-არტური.—„რუსის დამოჩკები“.

გაზეთ «რუს. სლოვოს» დეპეშები: მუკდენი, 16 სეკდემბერი. იაპონელების მზვერავი რაზმები სადგურ შახემდე მოდიან. ექვსი მხედარი ჩამოქვეითებულიყო და მოიპარებოდა. ჩვენმა ქვეითმა რაზმმა შენიშნა, გამოეკიდა და მომწყვდევას სცდილობდა. ხუთნი ცხენს შემოახტნენ და გააქენეს. მეექვსეს ცხენი გაოლიანში შევარდა და მიიმალა. გაოლიანს სჭრიან მინდორში, მაგრამ უგულოდ და ნელა-ნელა. ბევრი სოფელი დაიცალა, მცხოვრებნი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ამბობენ, იაპონელები პირველად ეცდებიან ფუშუნის ქვა-ნახშირის მადნები დაიჭირონ.

ტელინიდგან ქალები გახიზნეს.

ჩინელი იჯარადარი ლივანტინა, რომელსაც, იმის სიტყვით, იაპონელებმა მამა და ორი ძმა მოუკლეს, ამბობს, ვითომც ინკოუში იაპონელები ცოცხალ ჩინელებს მარხავდნენ, რუსებს რად ემსახურებოდითო.

ლანდოჟენსკი.

ტელინი. 15 სეკდემბერი. გამოიდარა. მზიანი დღეებია, მაგრამ სუსხიანი. მოდიან ჩვენი ახალი პოლკები, ნამდვილი ჯარი და არა სათადარიგო რაზმებისაგან შემდგარი.

ხარბინში ჯარისათვის ამზადებენ დიდს სახლს, რომელიც გიმნაზიისათვის შენდებოდა.

მანჯურიაში ისეთი კარგი მოსავალი იყო, რომ მთელ ლაშქარს ეყოფა სურსათი.

მრავალი კორესპონდენტი შინ დაბრუნდა, რადგან ვერ გაუძლო აქაურ გარემოებას, წვიმა-ავდარსა და წანწალს. წამოვიდა რუსეთს დემჩინსკიც. «რუსის» კორესპონდენტები პოპოვი და დუდაროვი, ომში დაჭრილნი, მორჩნენ.

იაპონელების აგენტები მონგოლიის შუაგულამდე მიდიან და საქონლის გადმორეკას უშლიან. ცხენებს ბლომად ყიდულობენ და კარგს ფასს არ იშურებენ. თავისი კაცები ჰყავთ ყველგან გაგზავნილი და ჩინელების ურმებს ქირაობენ ჩვენის ჯარის ბანაკს ახლოც-კი.

იაპონელები ხუნხუზების ტანთსაცმელში გამოწყობილი და ნამდვილი ხუნხუზები, რომლებსაც იაპონელები ჯამაგირს აძლევენ, აქ დათარეშობენ და ავაზაკობენ.

ვას. ნემიროვიჩ—დანჩენკო.

«ნიუ-იორკ ჰერალდი» ამბობს, მარშალი ოიამა ემზადება გასალაშქრებლად

ჩრდილოეთისკენ. ის კვალად თავის ტაქტიკას ადგია, როგორც ლიაოიანთან და სამი ლაშქარი ირგვლივ მიჰყავს წინ: შუბლის ჯარი დაწინაურებული ჰყავს დასავლეთად თითქმის სინმინტინიდგან ტელინამდე. კუროკის ლაშქარიც ტელინისაკენ მიიწევს, რომ რუსების კავალერია უკან დასწიოს, რომელიც მარცხენა ფრთას იფარავს. ლიაოიანის მხარეს კი მცირე რაზმები უყენიათ. (პ. ვ.).

—

გაზეთ «ტაიმსის» სამხედრო კორესპონდენტი სწერს, მარშალი ოიამა არ უნდა აჩქარდეს და თავისი ლაშქარი წყნარად უნდა წაიყვანოს ჩრდილოეთისკენ. დაგვიანების შიში არ უნდა ჰქონდეს, რადგან გენერალი კუროპატკანი მალე ვერ მიიღებს ახალ ჯარს. ოდესის კორპუსი ნოემბრის გასვლამდე ვერ ჩავა მანჯურიას. მეორეს მხრივ, როდესაც პორტ-არტური დაემხობა, მარშალ ოიამას იმდენი ჯარი მიემატება, რომ რუსების ორს კორპუსს გაუთანაბრდება. ჯერ იაპონელებმა რკინის გზა უნდა მოაწყონ, მატარებლები საკმაოდ შეიგულონ, სურსათი გადაზიდონ, ჯარი მოიმატონ და შემდეგ მათ წინმსვლელობას ველარა შეაფერხებს რა. პორტ-არტური მალე რომ არ დაემხოს, მარშალ ოიამას იაპონიიდგან სამყოფი ჯარი მიეშველება. (პ. ვ.).

—

«ნიუ-იორკის ჰერალდი»-ს კორესპონდენტი იუწყება, ნამდვილად ვიცი, რომ გენერალი კუროპატკინი ჯერ-ჯერობით ვერ დაიწყებს მოძრაობას, ვიდრე მანჯურიის მეორე ლაშქარი არ დაარსდებაო. ის მხოლოდ ეცდება, იაპონელები დიდხანს შეაფერხოს. მანჯურიის ლაშქარი-კი ორს თვეზე ადრე ვერ შეგროვდება. ამ ლაშქარში 250,000 მეომარი უნდა იყოსო. (რუს.).

—

ბერლინის გაზეთები კი სხვა აზრისანი არიან. ისინი ამტკიცებენ, დიდი ომი უთუოდ მუკდენთან უნდა მოხდესო. ამისათვის რუსის სარდალს დიდძალი ჯარი შეუგროვებია მუკდენთან, მეტადრე არტილერია. იაპონელებს მუკდენისაკენ 300,000 მეომარი მიჰყავთო. (რ. ვ.).

—

გერმანულ გაზეთებსა სწერენ, პორტ-არტურის ბრძოლამ ერთი ყველასაგან მიღებული თეორია დაარღვია. წინად ეგონათ, რომ დიდსა და მძიმე ყუმბარებს შეუძლიანთ დაანგრიონ ყოველგვარი სიმაგრე და მკვიდრი თაღებიც კი შემუსრონო. ეს მართალი არა ყოფილა. არამც თუ მკვიდრი, არამედ რუსებისაგან ხელად გაკეთებული სიმაგრეებიც კი ყუმბარებს უძლებს და უმთავრეს ფორტების ასაღებად ხომ იაპონელებმა სხვაგვარი ღონისძიება უნდა იხმარონ და სხვანაირი ოსტატობა გამოიჩინონ. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურის მეციხოვნეთა რიცხვი ბევრად იმაზე მეტი უნდა იყოს, რაც აქამომდე ჰგონიათ. თუმცა 2 სექტემბერს პორტ არტურში იაპონელების ცეცხლმა 9,600 მეომარი მოჰკლა და დასჭრა, მაინც 28,000 მეომარი კიდევ დარჩებოდა 4,000 მეზღვაური. ამათ გარდა 3,000 მუშა-ოსტატი დღე და ღამე უყენიათ დაზიანებულ გემებზე და განუწყვეტლივ აკეთებენ. (რუს.).

—

რუსის დამოჩკები.

გაზეთ «რუს. სლოვოს» შემდეგი ღია წერილი მიუღია, 11 ქალისაგან ხელმოწერილი:

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს «რუსის დამოჩკებმა» (რუსის ქალებს ვერ ვუწოდებთ) სახელი გაითქვეს ტყვედ წამოყვანილ ოსმალ ჯარის კაცების განებივრებით: თავს ევლებოდნენ, ეარშიყებოდნენ, ყვავილებით ამკობდნენ და უმიჯნურდებოდნენ. ამ საქციელისათვის ყველა რიგიანი ადამიანი ჰკიცხავდა და ზიზღს უცხადებდა.

განვლო 27 წელმა. საფიქრებელი იყო, რომ საზოგადოება გაუმჯობესდა, ახალი თაობა ჯეროვანად აღიზარდა, თავისი თავი და მოვალეობა შეიგნო, ეროვნული სიამაყე და თავმოყვარეობა უფრო განმტკიცდა და წინანდელს სიმსუბუქეს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა.

მაგრამ... ვაი, ვაი!

წაიკითხეთ კორესპონდენციები სამარა, ტვერი, ორიოლ, კალუგა და სხვა ქალაქებიდგან და დარწმუნდებით, რომ «რუსის დამოჩკები» კვალად მრავლად ყოფილან და, წინანდებურად, ახალ ჩვენს მტრებს,—დატყვევებულ იაპონელებს,—ეკურკურებიან და უარშიყდებიან.

სირცხვილი, თავსლაფდასხმა!

ჩვენ, პატარა ჯგუფი, ვკიცხავთ ამ «დამოჩკების» საქციელს, რომლებიც სახელს უტეხავენ რუსის ქალს შინ და საზღვარს იქით.

იმ დროს, როდესაც 300 რუსის ქალი პორტ-არტურში დღე და ღამე დაუღალავად უვლის და ამხნევებს თავგანწირულ მეციხოვნეებს და ალყა შემორტყმულ ციხეში ათასნაირ გაჭირებას იტანს,—ჩვენი «რუსის დამოჩკები» აქ, ჩვენს ჰერ-ქვეშ, თითქმის ეხვევიან და ჰკოცნიან იაპონელებს,—სწორედ იმ იაპონელებს, რომლებიც ჰკლავდნენ და ჰკლავენ ჩვენს ქმრებს, შვილებს, მამებსა და ძმებს!

სირცხვილი, თავსლაფდასხმა!

ჩვენს მხნე ქალებს პორტ-არტურსა და მანჯურიაში მთელი კაცობრიობა განცვიფრებით შეჰყურებს. იმათ კურთხევას უთვლიან, იმათთვის ლოცულობენ, ისინი გმირებად არიან მიჩნეულნი.

ამათ რაღა უნდა ვუწოდოთ, ამ «რუსის დამოჩკებს», სამარა, ტვერ, ორიოლ, კალუგა და სხვა ქალაქელებს?

ისინი მოღალატენი არიან იმ მეომართა წინაშე, რომელნიც სისხლსა ღვრიან შორეულ-აღმოსავლეთში.

იმათ თავს ლაფი უნდა დაასხან რუსის ქალებმა, რომელთაც მკერდში რუსის გული უცემთ, რომელთათვის სამშობლოს პატივისცემა და კეთილი სახელი ძვირფასია.

ყველა ჩვენთაგანი, რუსეთის ყოველ კუთხეში მცხოვრები, მოვალეა გაჰკიცხოს სხვა-და-სხვა ქალაქების «რუსის დამოჩკები» და ამით საზიზღარი საქციელი მოაშლევინოს.

ტფილისი

—

შაბათს, 25 სექტემბერს, ტფილისში მოასვენებენ 14 სექტემბერს პარიჟში გარდაცვალებულ ჩვენის ცნობილის ქველმოქმედის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის გვამს.

⁂ გიორგი მიხ. ლასხიშვილი, «ცნობის ფურცლის» უფროსი თანამშრომელი, თანახმად ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის ბ-ნ ალ. ჯაბადრის შუამდგომლობისა, მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა «ცნობის ფურცლის» დროებით რედაქტორად—ერთის თვის ვადით.

⁂ როგორც კიევიდგან გვატყობინებენ, ჩვენს თანამშრომელს ბ-ნს მალაქია ბოლქვაძეს განუზრახავს დააარსოს იქ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „Югъ“, რომელსაც აზრად აქმნება რუსულს ენაზედ გამოსცეს ჩვენის საუკეთესო მწერლების თხზულებანი.

⁂ ქუთაისის ქალაქის საბჭოს უკანასკნელ კრებაზედ დადგენილ იქმნა, ქუთაისში წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის გამყვან ამხანაგობის მიერ ქალაქის კასაში გირაოდ შეტანილი 10,000 მან. ქალაქის საკუთრებად ჩაირიცხოს და ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულობა დაირღვეს, რადგანაც ტრამვაიზედ ვადა უკვე გავიდა. ამის გამო, როგორც გადმოგვცეს, ხსენებულმა ამხანაგობამ ახლო მომავალში საჩივარი უნდა აღძრას ქუთაისის ქალაქის გამგეობაზედ სასამართლოს წინაშე ხსენებულ 10,000 მან. უკანონოდ მითვისების გამო. სასამართლოში საქმის საწარმოვებლად ამხანაგობას მოუწვევია ცნობილი ნაფიცი ვექილი პ. არტ. ქალანთაროვი. წყლისაყვანის შესახებ ხელშეკრულობას ჯერ არ გასვლია ვადა.

⁂ მომავალ კვირაში ბაქოდგან ტფილისში მოელიან ხოლერასთან საბრძოლველად ღონისძიებათა მისაღებად უმაღლესად გამოგზავნილს გრაფ შუვალოვს.

⁂ ქალაქის საბჭოს უკანასკნელმა კრებამ დაამტკიცა ხოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მისაღებად სასანიტარო კომისიის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა 20,300 მან. გადადებისა.

⁂ სიღნაღიდგან ტფილისს მომავალი ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ს. პ. ლაზარევი და ამავე სასამართლოს ბრალმდებელი ამხანაგი ვ. ვ. კლენოვსკი 20 სექტემბერს, ღამით, ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაჰქურდეს; წაიღეს კალათა სხვა და სხვა ნივთებითა და მუნდირ-საცვლებით. ქურდების აღმოსაჩენად ღონისძიებანი მიიღეს.

⁂ 20 სექტემბერს, საღამოს $10^1/_2$ საათზედ, ტფილისში, გიორგის მოედანზედ, ვიღამაც რევოლვერით მოჰკლა ალადათოვის მეეზოვე მიხეილ მელიქ ადამოვი, რომელიც კუტლოევის სახლთან იდგა. მკვლელობის ჩადენაზედ ეჭვი მიიტანეს ალექსანდრე ოპროკელოვსა და არშაკ ბეჟანოვზედ, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

⁂ ექსარხოსმა საჯირო განკარგულებანი მოახდინა უკვე, რათა საეკლესიოსამრევლო სკოლათა მოწაფეებსა და სასულიერო უწყებაში მსახურთ ხოლერა თავიდგან აიცილონ, გასწმინდონ და დაასუფთაონ როგორც სკოლები, ისე დაწესებულებანიც, თანახმად ტფ. გუბერნატორის მოწერილობისა.

⁂ როგორც გაზეთები იუწყებიან, განზრახვა აქვთ, რომ ტფილისის გუბერნიაში სასოფლო გამგეობანი ვოლოსტის გამგეობებად გადააკეთონ. ტფ. გუბერნატორმა დაავალა მაზრის უფროსებსა და მომრიგებელ შუაკაცებს, პირველ ოქტომბრამდე წარუდგინონ ამ საქმის შესახებ თავიანთი მოსაზრებანი თითო ვოლოსტში 500 კომლზე ნაკლები და 1,500 კომლზე მეტი არ უნდა იყოს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა არ დაამტკიცა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად ბ-ნი ივ. რატიშვილი. წინად კი გაზეთები იყო გამოცხადებული, რომ ოლქის მზრუნველის მოადგილემ დაამტკიცაო.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის სამოსამართლო პალატა შეუდგა იმ საქმის გარჩევას, რომლითაც პასუხის გებაში არიან მიცემულნი ყარსის მცხოვრებნი სომხის მღვდლები ტერ-არაქელ ტერ-არაქელიანი, ტერ-მინასიანცი და ერის კაცნი ტუმასიანი, არტემოვი, მინასიანცი, ოსიპოვი და სხვ. სულ 30 კაცამდე. ამათ ჰბრალდებათ სომეხთა საეკლესიო მამულების ჩამორთმევის დროს მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევა. პალატაში ბრალდებულთ იცავენ ვექილები სტალი, ხომენტოვსკი, იოანესიანცი და სხვანი. საქმე ირჩევა ხალხის დაუსწრებლად.

⁂ კვირას, 26 სექტემბერს სწავლა დაიწყება ვერის ვაჟების საკვირაო სკოლასა და ვერის დედათა საკვირაო სკოლაში.

⁂ სვირის სადგურზედ შეუპყრიათ სამი კაცი: ალექსი ჩხეიძე, სილიბისტრო სვანიძე და გიორგი კანდელაკი, რომელთაც 19 ივლისს გელათის მონასტრის გაძარცვა ჰბრალდებათ. გელათის გარდა, ამათ სხვა ძარცვა-გლეჯასაც აბრალებენ ქუთაისისა და სენაკის მაზრებში.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატამ უკვე დაამთავრა მუშაობა იმის შესახებ, თუ რა დარჩენილი გარდასახადი და ჯარიმა უნდა ეპატიოთ ამ წლის 11 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტის ძალით.

⁂ ტფილისის საბალოსნო სკოლაში დღემდე 40 მიუცია თხოვნა საკონკურსო ეგზამენისათვის, ხოლო თავისუფალი ადგილი კი სულ 14-ია.

⁂ გუშინ-წინ 50-მდე მეპურეებმა (მეთონეებმა) მიჰმართეს ქალაქის გამგეობას თხოვნით, პურის ნიხრს მოუმატეთ, რადგანაც ფქვილს ფუთზედ ორი შაური მოემატაო.

ხოლერა

—

ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 17 სექტემბერს ავად გამხდარა 10 კაცი, სამი გარდაცვლილა; 17 სექტემბერს ავად გახდა—10, მოკვდა 6; ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევით, 29 აბანოდგან 6 ხოლერის ბაცილებიანი აღმოჩნდა და დროებით გააუქმეს, ვიდრე დეზინფექციას გაათავებდნენ. თათრების საბანაო აუზები სამუდამოდ გააუქმეს, წყლების კვლევაძიებას კიდევ განაგრძობენ. 19 სექტემბერს ბაქოში ხოლერით 18 კაცი გახდა ავად, აქედგან 8 გარდაიცვალა.

—

13 სექტემბერს კასპიის მხარეში, მერვში, მეციხოვნეთაგან ხოლერით ავად გახდა 2, მოკვდა—1, ავადაა 46; მოქალაქეთაგან ავად გახდა 13 სექტემბერს 1, მორჩა 2, ავადაა—2. ბაირამ-ალში ერთი გახდა ავად და უკვე მორჩა. სხვა არავინაა ავად. თეჯენში 1 იყო ავად და მორჩა, მეტი არავინაა; პასანყულსა და ჩიკიშლიარში უკანასკნელ კვირაში ავად არავინ გამხდარა.

საქართველოს ამბები

—

ქუთაისი. მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიან ის მოწაფენი, რომელთაც დაასრულეს წელს ქუთ. სათავადაზნაურო სკოლა. მოელოდნენ შემდეგ კლასებს წელს, მაგრამ, საუბედუროდ, გაუცრუვდათ იმედი. მთავრობა ნებას არა ჰრთავს ჯერ-ჯერობით შემდეგის კლასების დაარსებისათვის. ოცდა ათამდე მოწაფე დადის უსაქმოდ და იმედს კიდევ არ ჰკარგავს და მოელის მეხუთე კლასს.

ს. ჭელაკაშვილი.

—

დ. თიანეთი. ეს ხუთი თვე იქნება, რაც თიანეთში დანიშნეს უფროს ფერშლად ბ. ს—კო და ამ ხნის განმავლობაში თიანელებმა არც კი იციან მისი აქ ყოფნა. კიდევ მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენკენ არავითარი ავადმყოფობა არ არის გავრცელებული, თორემ შენი მტერი, ჩვენ საქმე გაგვიჭირდებოდა. სამწუხაროა, როცა კაცი თავის მოვალეობის ასასრულებლად თავს არ იდებს და უფრო სხვა გასართობს ეტანება. ზოგიერთის აზრით, დილითა და საღამოთი «ვოდ-

---

ფელეტონი

მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(დასასრული *)

გამოსვლა მესამე.

ირაკ. მართლა, მართლა! გუშინდელს აქეთ სულ ასე შემოგყურებ და, რაც დრო მიდის, მით უფრო მშორდები; სულ გეკარგება ყოველივე მნიშვნელობა ჩემ თვალში. დაბლდები, ხურდავდები, იხრწნები. სუნთქვა მეკვრის რადგან, ავი სუნი აგდის, (უკან დაიხევს). თითქოს ეხლა ვამჩნევ მაგ საეჭვო ქალივით შეკრეჭილ თმებს, მაგ კურტიზანულ გემოვნებაზედ შეკერილ კაბას, მაგ თვალთ-მაქც პირისახეს. მაგ მადის გამხსნელ, პირუტყვის გამაღვიძებელ ტალიას, ლოყებს რომელზედაც ასე მგონია ათას ჯურა ხალხს უნავარდნია მეთქი.

კატო. (ცეცხლის მფრქვევ თვალებით გამოეჭიმება წინ და დაუკვესებს). მაგ უზრდელობისთვის გარეშე კაცს ჩემი ერთგული მათრახი გასცემდა პასუხს, რომლითაც ოდესმე ბევრი თავხედი ვაჟკაცისთვის ამიხურებია ზურგის კანი, მაგრამ შენ რა გიყო, ქმარი ხარ და ისიც ავადმყოფი, რომელსაც ლოგინში ჩაწვენა და მოვლა გინდა. ყოველ შემთხვევაში ნუ დაივიწყებ, რომ მე ისევ ის სუსხიანი კნეინა კატო ვარ, რომლის რისხვა, თუ გარემოება მოიტანს, ჩემს სათუთად აღზრდილ ქმარსაც ხვდება წილად.

ირაკ. ლუარსაბი თუ შენი საყვარელი იყო, მულს რად ურიგებდი?

კატო. (მკაცრად). **МОЛЧАТЬ.** ესღა მაკლდა, რომ მტრის სიტყვები მრწამსად გაიხადო.

ირაკ. სთქვი სიმართლე, მე ყველაფერი ვიცი.

კატო. ნუ აუტაცნიხარ ბედის წერას!

ირაკ. ბედის წერა რომელია, როცა გარკვეულ პასუხის ღირსადაც არა მხდი.

კატო. შე, უბედურო, შე, უბედურო! ალალმა დამ წიხლი ჩაგაზილა, გეტკინა და ჩემზე ყრილობ ჯავრს? ნეტა მაცოდინა, ვინ რა მოაჭორა ჩემზედ, რომ სამუდამოდ ავგავო პირისაგან ქვეყნისა.

ირაკ. (ამოიღებს წერილს ჯიბიდგან, დინჯად და მწუხარედ მიმართავს). ამ წერილს რომელი ლუარსაბი სწერს კნეინა კატოს ქალაქიდგან?

კატო. (არ დაიფანტება მივარდება გაფითრებული, გამოსტაცებს წერილს, გახევს და გადაჰყრის). სხვისი წერილების ჩხრეკა უსინიდისობაა; ეს მაინც არ გაძლევს ნებას ცილი დამწამო, რადგან ასეთის წერილების შეთხზვა ჩემი მტრების იარაღია. კარგად იცოდნენ იმ გველებმა, რომ მაგ მოხერხებით ვერ დამაშორებენ ჩემს ირაკლის!

ირაკ. (მტკიცედ). სანამ ჯერ მაყრიონებს არ გამოუვლია, შენ უნდა მიჩვენო გზა ხსნისა.

კატო. მხარი გექცა. ჩვენ არავითარი გზის გამონახვა არ გვესაჭიროება. იგი სწორია, მხოლოდ შენ ვერ ჰხედავ. იმას კი გეტყვი, ირაკლი, რომ მე არ გყოლოდი, **ты никогда не стоялъ бы на высотѣ своего призванія.**

ირაკ. უფსკრულის პირად ვდგევართ და გიმეორებ გასავლელი გზაა საჭირო; მიიხედ-მოიხედე გარშემო; იქნებ იპოვნო დედამიწის ზურგზე თუნდ ერთი ნამცეცი ადგილი, საცა ჩვენ გვეცხოვრებოდეს! (მოშორდება და მოწყვეტილი სცენის სიღრმისკენ გაიწევს. კატო დგას ერთ ადგილას, გესლიანად გაჰყურებს და ოდნავ თავს აქანებს მრავალ მნიშვნელოვანად. უეცრად გამოჩნდება ირაკლი სცენის სიღრმიდგან და შეშინებული თვის და უნებურად კატოსთან მიირბენს, ჩაავლებს ხელს, კატოც ისარგებლებს ამ შემთხვევით და მოხვევს ხელს ნაზად, რომ კვლავ დაიბრმავოს).

კატო. ირაკლი, ირაკლი! ნუ მღუპავ, შე უღმერთო, ნუ. გონს მოდი, გენაცვალე... რამ შეგაშინა, როცა შენთან შენი ერთგული კატოა.

ირაკ. არ შეგინიშნავს ეხლა ვიღაც სტუდენტი, რომელიც ჩვენს ეზოში გადმოხტა?

კატო. ეს სულ შენი ჰალლიუცინაციის ნაყოფია და ყოველივე, რაც ამაღამ წამოგცდა ავად მყოფი გონების ნაკარნახევი, იმიტომაც სერიოზულ პასუხს არ გაძლევდი. იცოდე, სხვა ქალი ამდენ ლანძღვას არ მოგითმენდა. წამო სახლში, წამო. მოისვენე ყველაფერი ხვალ გამოვარკვიოთ.

ირაკ. არა, არა, ის იყო, ის! ნათლად დავინახე მისი გონიერი თვალები. მისი სიმპატიური სახე.

კატო. ვინ ის?

ირაკ. ის, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად წამოაქცია შენმა ავანგარდმა ხელ-ფეხიან მუხის ძირში და ლორივით ყელი გამოსჭრეს. ის სიმართლისათვის ტანჯული, გაზაფხულის მახარობელი მერცხალი, სამშობლო ლიტერატურის მომავალი მნათობი, ხალხის უტყუარი მოკეთე, ერის დიდება და სახელი! (შეჰყვირებს). მისი ხმაც! «რას მერჩოდი, ძმაო ირაკლი, რომ მომკალითო, სად იყავ, როცა საშველად გეძახდიო?! მეც ხომ მწყუროდა სიცოცხლე, სიცოცხლე ნაყოფიერი, სიცოცხლეო, სიცოცხლეო»! ვაი, სირცხვილო! ვაი თავის მოჭრავ! დათიკო, ნუ მიცქერი მაგრე, ნუ! ამას უყურე, ამ ჩემის ცხოვრების თვალბედითს ყორანს, ამ ჩემს დამაბნელებელს მეუღლეს. არა ვარ დამნაშავე არა! იმ საღამოს, როცა იუდა სისხლის მსმელებმა დაგცეს მუხის ძირში და მახვილი ჩაგცეს ქორფა გულში, მე წისქვილთან ვიდექ, შავი ფიქრებით გარე მოცული. უეცრივ მომესმა შენი მკვნესარე ხმა: „ძმაო ირაკლი! მიშველე, მკლავენო!“ მე აღვშფოთდი, შევძრწუნდი, წამოვიწიე, ელვის სისწრაფით გამოვქანდი შენკენ, მზად ვიყავ შენთვის თავი გამეწირა, მაგრამ მომვარდნენ, შემკრეს და, რომ არა დამეყვირნა, ბურთუ ჩამჩარეს პირში. აბა, როგორ წამოიდგინე, ჩემო ბიჭუნიკა, რომ მე, შენი მოსიყვარულე ირაკლი, სასიკვდილოდ გავიმეტებდი ჩემს უმცროს მოძმეს, ჩემს ჩახატულ დათიკოს, იმ დათიკოს, რომლის სერიოზულ აღზრდაში მეც მონაწილეობა უნდა მიმეღო. შენ სტირი ყრმაო? (შუბლში შემოიკრავს). მაშ იტირე, სტირე, უბედური კაცი, რომელსაც სული და გული ამოჰგლიჯეს და მყრალ ჭაობში გადაუძახეს. იტირე კაცი გათახსირებული, ცოცხლივვე სამარეში ჩაფლული! იტირე შენი ძველი მეგობარი, რომელიც დააქციეს, დააქციეს, დააქციეს). (ამ დროს ისმის შორიდგან ოდნავ გასაგონი ხმით მაყრული კუხხა ბედნიერის ხმაზედ. ეს ხმა სცენაზე მო-

კა» ახარებს გულსა კაცისასა საცხებელითა მხიარულ ყოფად პირი და შუადღისას წითელი ღვინო გულსა კაცისასა განამტკიცებს.

ამ თვის ოთხს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე ლ. შაუხალოვისა, რომელსაც თიანეთის მაზრაში (თუშეთში) ყალბი მანეთიანების გასაღება ჰბრალდებოდა. შაუხალოვს ქ. გროზნაში მცხოვრებლისაგან ეყიდნა სავაჭრო, შეეძინა ბლომად ყალბი ფული, ჰყიდდა სავაჭროს და ხურდაში აძლევდა ყალბ ფულებს. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო შაუხალოვი და გადაუწყვიტა ყოველისავე ღირსებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა რაზმში ორის წლითა და რვა თვით გაგზავნა.

დათიკო გოჯიაშვილი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ინგლისის ეკონომისტები და სტატისტიკოსნი ანგარიშობენ, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ეკონომიური ძალ-ღონე იაპონიისა და დაასკვნიან, რომ იაპონიას, რაკი საომრად ემზადებოდა, ისეთს წესსა და რიგში მოუყვანია თვისი ფინანსები, როგორც ლაშქარი და ფლოტიო.

იაპონია წინადვე ჰგრძნობდა, რომ ხანგრძლივი და მედგარი ომიანობა არ ამცდებაო და ამიტომ გულ-დადებით მოუწყვია თავის ფინანსების საქმე. წლიური ხარჯი იაპონიისა მშვიდობიანობის დროს 250 მილიონი მანეთია. სახელმწიფო ვალი ომის დაწყებამდე იყო მხოლოდ 560 მილიონი. ამ ფულის ნაწილია მხოლოდ ვალი უცხოელებისა, უფრო ინგლისელებისა.

იმ ეკონომისტის აზრით, რომელსაც ეს აზრი მოჰყავს, საფინანსო მდგომარეობა რუსეთისა უფრო სუსტია.

წლიური მისი ხარჯია მშვიდობიანობის დროს 2 მილიარდზე მეტი (2.320 მილ.), ხოლო სახელმწიფო ვალი 1 იანვარს 1902 წელს იყო 6.840 მილიონი. (7 მილიარდამდე). რუსეთი იხდის ყოველ წლივ მარტო სარგებელს 310 მილიონს, აქედან 200 მილიონი უცხოელ ბანკირების ჯიბეში ჩადის, უფრო-კი ფრანგებისაში. სახელმწიფო ხარჯი რუსეთში იმდენია, რომ თითო კაცზედ მოდის 19 მანეთამდე, იაპონიაში-კი—5 მანეთამდე. ჯარის შენახვა უჯდება იაპონიას 40 მილიონი წელიწადში, რუსეთს-კი ათჯერ მეტი, ესე იგი 400 მილიონი. ფლოტი უჯდება იაპონიას 30 მილიონი წელიწადში, რუსეთს კი ოთხჯერ მეტი, ესე იგი 120 მილიონი.

მართალია,—განაგრძობს შემდეგ ეკონომისტი,—იაპონიამ ამას წინად ძალიან სამძიმო პირობით ისესხა ფული, მაგრამ ეგ იმის ბრალია, რომ მაშინ მხოლოდ ერთხელ შეეჭიდა იაპონია ხმელეთზე რუსთა ჯარს და ევროპაში ძალიან ნაკლებად იცოდნენ ძალა იაპონიისა. ბირჟა დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი ერთს თვეზე სულ ტყავს გააძრობდა იაპონიას. ამიტომ ბანკირები სამძიმო პირობით დასთანხმდნენ მიეცათ ფული სესხად იაპონიის მთავრობისათვის. ჯერ ახლაც კი ძალიან ნაკლებად ენდობა ბირჟა აზიის ახალ სახელმწიფოს: არა სჯერა მის კულტურის სიმტკიცე და გამძლეობა. თუმცა იაპონია გამარჯვებულია დღემდე, მაინც მისი სახელმწიფო ქაღალდები ძრიელ დაეცა ბირჟაზედ და მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს (სულ ათიოდე დღეა), რაც უცბად აიწია.

ჩინეთთან ომი უფრო ნაკლებ უჯდებოდა იაპონიას, ვიდრე რუსეთთან ომი უჯდება. მაშინ ეხარჯებოდა დღეში 300,000 მან., ახლა-კი დღეში თითო მილიონი ეხარჯება, თვეში 30 მილიონი. ჩინეთთან ომში იაპონიას 20 მილიონზე მეტი არ დაუხარჯნია თვეში. აგვისტოსა და სეკდემბრის დამდეგს-კი როცა ლაშქრობა უფრო მხნედ სწარმოებდა, მეტი ეხარჯებოდა.

საზოგადოდ ლაშქრობა იაპონიას ბევრად იაფად უჯდება, ვიდრე რუსეთს. იაპონიის ოფიცრები და ჯარის-კაცნი უფრო ნაკლებ ჯამაგირს იღებენ, ვიდრე რუსისანი. მათი გამოკვებაც იაფად უჯდებათ იაპონელებს.

ჯერ ადრეა იმის გამორკვევა, თუ რა ეკონომიური შედეგი მოჰყვება ომიანობას, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ იაპონიის ვაჭრობა, როგორცა სჩანს, ჯერ გაჭირვებას არას ითმენს. გატანითაც ბევრი გააქვთ და შეტანითაც ბლომად შეაქვთ საქონელი იაპონიაში. ყოველ შემთხვევაში ეკონომიურად იაპონია რუსეთზედ ნაკლებად არ არის მომზადებული. საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ იაპონიას უფრო მალე გამოელევა ქონებრივი ძალ-ღონე, ვიდრე რუსეთს. (რ. ვ.).

თეატრი და ხელოვნება

ოპერა. სამშაბათს, 21 სეკდემბერს, სახაზინო თეატრში წარმოადგინეს «ევგენი ონეგინი», ლირიკული სცენები 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. უმთავრეს პარტიას—ევ. ონეგინს—მღეროდა ბ-ნი ობრაზცოვი და უნდა ვთქვათ, რომ მართლა «ობრაზცოვად» შეასრულა თავისი დანიშნულება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ ბ-ნ ღონსკოის სუსტი მომღერლები ჰყავს. არია: „Увы! сомнѣнья нѣтъ!" სამჯერ გაამეორებინეს არტისტს. ლენსკის პარტიის აღმასრულებელს ბ-ნ ბოგდანოვს მეტად სუსტი ტენორი აქვს, მხოლოდ თამაშობით კი არა უშავდა-რა. ამ საღამოს ცხოვლად ჩაატარა მხოლოდ ერთი არიოზო: „Куда, куда вы удалились, весны моей златые дни?" მეორე მოქმედების 1-ლ სურათში კი ძლიერ შეუსუსტდა ხმა. კარგად ჩაატარა გამდლის პატარა, მაგრამ ტკბილი პარტია ქ-ნმა ბუნაკოვისამ (ფილატიევისა). ტატიანას პარტიას მღეროდა ქ-ნი ტულლერი და კარგადაც იმღერა, განსაკუთრებით მაღალ რეგისტრებში. ოლგას პარტიის აღმასრულებელმა ქ-ნმა შიხუცკაიამ კი ვერ დაგვაკმაყოფილა. მშვენივრად იმღერა ფრანგის პატარა პარტია ბ-ნმა ბაჟენოვმა.

ხორო, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა, მწყობრად მღეროდა. ორკესტრს ხელმძღვანელობდა ახალგაზდა დირიჟორი ბ-ნი ნ. მიკლაშევსკი, რომელსაც ჩინებული გამოცდილება ეტყობა.

თეატრი ნახევრად ცარიელი იყო.

დღეს, 23 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქმნება «დემონი», ოპერა 3 მოქმ., მუსიკა რუბინშტეინისა.

ქ. —ი.

ქ. ქუთაისი. კვირას, 19 ენკენისთვეს, დრამატიულმა დასმა (თუმცა დრამატიულ დასიდან სამი მსახიობი იყო) წარმოადგინა კარეევის კარგი პიესა «ცხოვრების გმირი» ქართულად და ან. ჩეხოვის «ქორწინება)—რუსულად.

ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საოცარი გაპატივება მამულისა. აქამდე მოგონილი მამულის სასუქი ყველა უნდა გაფასდეს, რადგან ბევრად უკეთესი პატივი მოუგონიათ მამულის გასანოყიერებლად. უცდიათ კიდეც ამ საოცარის პატივით გასუქება მამულისა და ცდას კარგად ჩაუვლია. პურის ცომივით შედედებულ გამაპატივებელ მასალას წმინდა წყალში გახსნიან და შიგ დაალბობენ თესლს, რომელიც მას შემდეგ უცნაურის ძალით ამოდის და იზრდება, რაც უნდა მცირე და ულონო მამულში იყოს დათესილი.

პატარა რომეო. ვინმე რომანოვს, 12 წლის ბავშს, შეჰყვარებია მეზობლის პატარა ქალი, თავისივე ტოლი. რომანოვი ხშირად თურმე დადიოდა ტოლის სახლში სტუმრად, მაგრამ პატარა ქალს გული არ უჩვენებია და უარ უყვია გრძნობა თაყვანის მცემლისა. რომანოვს სასოება დაჰკარგვია და უთქვამს დედისათვის: დედა, აღარ მინდა სიცოცხლე, თავი უნდა მოვიკლაო. დედას ყურადღება არ მიუქცევია. ბავშვი წასულა წყალზედ, საბანაო თურმე იყო გამართული, და გადავარდნილა წყალში, როცა თურმე დასახსნელად თოკი გადაუგდეს, ხელი ჰკრა თოკს და არ მოინდომა დარჩობისაგან გადარჩენა. 5 საათის შემდეგ ბავშის გვამი მცურავებმა იპოვეს. ტანისამოსის ჯიბეში აღმოჩნდა ბარათი. იქ თურმე ეწერა: გადავსწყვიტე თავი მოვიკლა, იმიტომ რომ ვინც მიყვარდა, უარი მითხრა, რანდევუზე არ მოვალო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 სეკდემბერი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში" გამოცხადებულია, 1 მაისს 1904 წ. უმაღლესი უქაზის ძალით უცხოეთის საქონელი უბაჟოდ შემოტანილი იქმნას პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროში, მონგოლიისა და კორეიის ხმელეთის საზღვრებზე.

თავრიზი. ქალაქში ხოლერა ვრცელდება. მემკვიდრე და მთლად სასახლე ქალაქიდან გავიდენ. თეირანიდან ინგლისის ელჩი მოვიდა აქა.

გიანგცე. (რეიტერი). თიბეთის ექსპედიციის წინა ნაწილი მშვიდობით დაბრუნდა ინდოეთს. დანარჩენი ნაწილი დღეს გასცდება უღელტეხილს. ექსპედიციას დაბრუნებისას დიდი გაჭირვება შეხვდა. ძალიან ცივი დარი იდგა. ხალხი არ დაზარალებულა. აღმოჩნდა, რომ ლხასსში შედგენილ ხელშეკრულობას ჩინეთის ამბანმა ხელი არ მოაწერა, რადგან ჩინეთიდან საჭირო მინდობილობა არა ჰქონდა მიღებული.

ოდესსა. ხელმწიფე იმპერატორის მოსვლის სახსოვრად ქალაქის საბჭომ დაადგინა, საზოგადო ბიბლიოთეკას იმპერატორ ალექსანდრე II სახელი უწოდოს. ვაჭართა საზოგადოებამ გადასწყვიტა სავაჭრო სასწავლებელში დააფუძნოს 5 სტიპენდია ხელმწიფე იმპერატორის და 5-ც მემკვიდრე ცესარევიჩის სახელზე შორეულ აღმოსავლეთში მომწყდართა შვილებისათვის.

ადენი. მოლამ აილო ოდაგენი. 600 მცხოვრები მოჰკლეს.

პარიჟი. მინისტრთა საბჭომ შეიწყნარა გარდაწყვეტილება მოწვეულ იქმნას პარლამენტი 5 ოკდომბერს.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ-ლეიტენანტ სახაროვისა უმთავრეს შტაბის. სახელზე 20 სეკდემბრის თარიღით: «19 სეკდემბერს გათენებისას იაპონიის ცხენოსანთ ორჯელ მოინდომეს გაერღვიათ ყაზახათა ალყა ხუანსუნდისა და ფინდეპუას შუა. ორჯელვე ვერ გაიმარჯვეს და ჩვენებმაც გაჰფანტეს მტერი. იმავე დღეს შუადღის დროს კვლავ მოაწვა იაპონიის ერთი ბატალიონი იმავე ადგილას; სროლამ საღამომდე გასტანა. ყაზახებს გენერალ მიშჩენკომ ჯარი მიაშველა და საღამოთი ყოველ მხრიდან უკან დაახევინეს მტერსა, რომელსაც ცხენოსანნი დაედევნენ. ასისთავის ტოლსტოუხინის მზვერავები ჩაუსაფრდნენ კუშუპცთან მტრის მზვერავებსა და ამ დროს იაპონიის აფიცერი მოჰკლეს. იაპონელთაგან მიტოვებულ ადგილზე ჩვენმა ყაზახებმა იპოვნეს გასასროლი ტყვია-წამალი, სასანიტარო საქონელი და რავდენიმე მოკლული ცხენი. ჩვენ ორი აფიცერი და ორი ყაზახი დაგვიჭრეს. 19 სეკდემბერს ნახევარი ბატალიონი და ორი ესკადრონი ცხენოსანთა სამად მოაწვა ჩვენს სადარაჯოს მდინარე ხუნხესა და რკინის გზის შუა. საღამოზე ეს წინსვლა ჩვენებმა შეაჩერეს, როცა ერთი როტა მიეშველა. ჩვენ ერთი ყაზახი მოგვიკლეს და ერთი დაგვიჭრეს. 19 სეკდემბერს მდინარე ხუნხეს მარჯვენა ნაპირას ჩვენმა მზვერავებმა გაჰფანტა ორი რაზმი მტრის მზვერავებისა ჩანტატანას მიდამოებში, ამ დროს ტყვედ წამოიყვანეთ სამი დრაგუნი იაპონელთა. 19 სეკდემბერს ლიაოხედან გაგზავნილმა ჩვენმა მზვერავებმა აღმოსავლეთად აღმოაჩინეს, რომ დავანგოულის უღელტეხილი დაუჭერიათ ხუნხუზთა ბრბოსა ესე 200 კაცსა, რომელსაც იაპონიის აფიცრები წინამძღოლობდენ. იმასთან სროლაში ერთი ყაზახი მოკვდა.

22 სეკდემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად უმოწყალესად ბრძანა უზრუნველ ყოფილ იქმნას სახლობანი იმ ოფიცრებისა და მოხელეთა, რომელნიც მოსწყდნენ და გარდაიცვალნენ ჭრილობათაგან ჯამაგირის მესამედის მიცემითა.—მოსკოვის საგუბერნიო საჟანდარმო მმართველობის უფროსს გენ.-ლეიტ. შრამს უუმოწყალესად ებოძა ორდენი თეთრის არწივისა.

პარიჟი, 21 სეკდემბერი. კუროპატკინის მთავარ ბინაზედ იციან, რომ სანჩიანი და ის ადგილნი, რომელნიც დაჰყურებენ დალინის გადასავალს, დაჭერილი აქვთ 12,000 იაპონელთ. უმთავრესი ნაწილი კუროკის ჯარისა დაბანაკებულია ბიანიანძის. ნოძუს ჯარი სდგას ანთაის აღმოსავლეთად. იანთაი ძრიელ არის გამაგრებული. ოკუს ჯარი რკინის გზის დასავლეთად იმყოფება. კუროპატკინმა საჭიროდ დაინახა გამაგრებულ იქმნას გადასავილი გზანი ქამალინის ქედისა, რომელიც დაჰყურებს თელინის დავაკებას. ეს იმიტომ, რომ თუ ვინიცობაა საჭირო შეიქმნა უმთავრესის ჯარის უკან დახევა თელინისაკენ, ეს ოპერაცია არ გაძნელდეს.

ჟენევა, 21 სეკდემბერი. იაპონიის მთავრობამ შეუკვეთა 200,000 (?) კილოგრამი ორ-ცხობილისა. უნდა ჩაჰბარდეთ ხმელთა შუა ზღვის ნავთ-სადგურებში. ორ-ცხობილი პური იქიდან გაიგზავნება შორეულს აღმოსავლეთში ინგლისის ბაირაღ ქვეშ.

პეკინი, 21 სეკდ. (რეიტერი) ახლა სამშვიდობო ამბავი მოდის, რომ ჩინეთის ერში მღელვარება სცხრებაო. ინგლისის მისსია ჰგონებს, რომ საფუძველი არ არის შიშისა. ამავე აზრისაა ეპისკოპოზი საფრანგეთის კათოლიკეთა მისსისა. ყოვლად სამღვდელომ კარგად იცის ჩინეთის ერის გარემოება.

ხარბინი, 21 სეკდ. (საკ. კორესპ.) ცნობა გვაქვს, რომ იაპონელებმა რამდენიმე ხიდი გასდეს ლიაოხეზე სიაობეიხესთან და აკეთებენ გზებს ლიაოხედან ჩრდილოეთად. დაგანის ჩრდილოეთად იაპონელნი არ არიან. სინმინტინის მიდამოთა შორის მრავლად გაჩნდნენ ხუნხუზები,

---

თამაშეთა ლაპარაკს სრულებით ვერ უნდა ჰფარავდეს).

ირაკლ. (შეკრთება და გამოერკვევა). აჰ, მოდიან, მოდიან! (გაღმისკენ იხედება). ღმერთო ჩემო, რა სასწაულია. შეხედე, როგორ ეძარცვება ბებია მაიკოს ოჯახს ჩვენ მიერ მიძღვნილი სამგლოვიარო ძაძა, როგორ იძვრის და განთიადის მოლოდინში რა სისწრაფით მიექანება აღმოსავლეთისკენ. სულ ახალ-ახალი ჰორიზონტები და საფეხურები მეშლება თვალ წინ. აგერ სინათლე, მზე, თავისუფლება. აგერ ჩვენი ბედის ვარსკვლავი, რა დაღონებული მილასლასებს დასავლეთისკენ; ჩვენთვის ღამდება უკვე. აგერ ეს ხელ-ფეხიანი მუხაც როგორ გრძელდება და ვით ცოცხალი ადამიანი ტოტებით გვეპოტინება. (უკან დაიხევს). ღამის რკალივით შემოერტყას ჩვენს კარმიდამოს. (სიმღერა თან და თან უახლოვდება). ჩამოდექი, სახლში დავიმალოთ. გზა ჭეშმარიტ ცხოვრებას, გზა სიმართლესა, გზა საუკეთესო მომავალის მოციქულთ! (ავარდება მაღლა სართულში. კნეინაც იქითკენ გაემართება, მაგრამ მივა რა კარებთან, მოტრიალდება საზოგადოებისკენ).

კატო. ჩემმა ლუარსაბმა მართალი სთქვა. მართლაც გამოცვლილა, მაგრამ სიცილადაც არა მყოფნის—მაგის აცეტება; ეს ამბავი არც პირველია და არც უკანასკნელი. დაგაწვენ ლოგინში, ჩემი მუსიკა და ენა, რომელიც მუდამ გართობდა, კვლავ ტკბილად და საუკუკუნოდ მიაძინებს შენს გონებას, რომელიც მუდამ ჟამს ლამობდა ჩემის ბრჭყალებიდგან თავის დაღწევას. ჯერ არ დაბადებულა კაცი, რომ მე ჩემ საბუდარიდგან ამაგდოს. ჯერ კიდევ აქ არის ფხიზელი დარაჯი ამ ოჯახისა. სულელო! რა მოგიცია, რასა მთხოვ? ან რა დაგიკარგავს, რას ეძებ? (შედის მტკიცედ სახლში. მომღერლები მოახლოვდებიან და რიხიანი მარშით ჩაუვლიან მარშანიძიანთ ოჯახს გვერდით. ისინი არ სჩანან. იმ დროს, როცა სიმღერა დაგვშორდება და მხოლოდ შორიდგან-და ისმის, მაღლა სართულიდგან მოისმის უსაზარლესი გაბმული წივილ-კივილი ქალისა. სულ პატარა პაუზის შემდეგ მისწვდება ის შემზარავი კივილი და გამოვარდება ირაკლი აივანზე, თმა აბურძგნული, უპიჯაკოთ. მიიბრუნებს პირს კარებისაკენ). არ მინდოდა შენი მოკვლა, რადგან სიკვდილი შენთვის ხსნაა და შენი ხსნა კი იგივე კაცის კვლაა, მაგრამ რას იზამ, როცა შენი გაქრობა ჩემის სიძის და მის ოჯახის ხსნაცაა. შე გველო, დამცინოდი, მაგრამ ეხლა კი დაგიმტკიცე, თუ რა ძლიერია მთის ფერდობიდგან უეცრივ მოვარდნილი ნიაღვარი. (ჩამორბის დაბლა და გარბის სადღაც). პაუზა.

გამოსვლა მეოთხე.

(შემოდიან ხარხარით ლუარსაბი და ექიმი ფონ-ბილდერი).

ლუარსაბ. ვისზედ გაგვცვალეს, ვისზედ, ხა, ხა, ხა! არა, საოცარი ჰარმონიაკი იყო, რობერტ ადოლფიჩ კაცი ჯვარს იწერს და სერთუკის ჩაცმაც კი არ უნებებია, ხა, ხა, ხა!

ფონ-ბილ. Менабдишвили,—это воплощеніе грубости! სერთუკი კი არა, ვგონებ თმა და წვერიც კი არ დაუვარცხნია სამი კვირაა! შაფერიც რა საინტერესო ჰყავდათ!

ლუარ. ჰო, ეს თქვენი პსიხოპატი კოლეგა გრუშნევსკი, არა?.. ხა, ხა, ხა! ღმერთო ჩემო, რეები არა ხდება ამ ცოდვილ წუთი-სოფელში, რეები! ჰაი, გიდი! სადა ხარ ეხლა სულ ცხონებულო გენერალო დიმიტრი მარშანიძე, რომ ერთი შენებურად იფრინო ეს მატრაკვეცები!

ფონ-ბილ. ყველაზედ მეტად ის მაკვირვებს, თუ საიდგან გაჩნდნენ ამოდენა გამოგდებული მაწანწალა სტუდენტები.

ლუარ. ამ ბოლოს დროს მშიერი მგლებივით დაძრწიან პროვინციებში. ეს ჩვენის ცხოვრების მუწუკნი, ჭეშმარიტის სტუდენტის სახელის გამტეხნი მხოლოდ მენაბდიშვილისთანა საეჭვო კაცებთაც თუ იპოვნიან თავშესაფარს, თორემ კეთილშობილ ოჯახებს მაგათ არ წაბილწვინებენ.

გამოსვლა მეხუთე.

(შემორბის ნიკო ლაქია ეზოიდან).

ნიკო. ქალბატონო! კნეინა! უბედურობა, დიდი უბედურობა თქვენს ოჯახს (შესდგება და ქაქანებს).

ლუარ. რა ამბავია, ბიჭო?

გიგა. რაღა რა ამბავია, კნიაზო ქვეყანა იქცევა და ეგარი.

ლუა. სთქვი ჩქარა!

გიგა. კნიაზ ირაკლის ხელფეხიან მუხის ტოტებზე თავი ჩამოუხრჩვია! (ორივენი შეკრთებიან და აღმოჰხდებათ გულიდან „ოჰ!").

ლუა. არიქა, ექიმო, კნეინასთან ჩქარა ამ ოჯახს დიდი უბედურობა ეწვია. (ყველანი შევარდებიან სახლში, შეჰყვირებენ და. შეშინებულნი, უკან გამორბიან აივანზე).

ნიკო. ქალბატონიც მოუკლამს. (და ფიცხლავ ჩამოირბენს ეზოში) მეორედ მოსვლა იწყება სწორედ, მეორედ მოსვლა! სიძისას ქორწილი, ცოლის ძმისას—ტირილი. (გარბის ისინიც ჩამორბიან ძირს).

ლუა. ექიმო დამავალეთ და თქვენი შარაბანი მათხოვეთ.

ფ.-ბელ. როგორ... ამაღამვე მიდიხართ?

ლუა. უსათუოდ, მე სკანდალის თავი არა მაქვს. შეიძლება?

ფ-ბელ. დიდის სიამოვნებით.

ლუა. აბა, გავეშუროთ გეთაყვა... თოთორემ აქ ყოფნა კაცს ჭკვაზე შეშლის. ოჰ რა საზარელი მკვლელობაა! (მიდიან. მელოდიური ქართული სიმღერა კვლავ მოისმის შორიდგან გუგუნით. შემოდის აჩქარებით სუთიძე, აირბენს მაღლა შუა სახლში და უეცრივ გამოვარდება კარში. ჩამოირბენს ძირს, შეჩერდება გესლიანად გაიხედავს გაღმა მხრისკენ).

ლუკა სუთიძე. თქვენი დღესასწაული ერთობ ხან-მოკლეა, ერთი დამთქნარებაა, (ულვაშებზე გადისვამს ხელს.) ეს ულვაშები შემირცხვეს, თუ იქ არ მიგაბრძანოთ, სადაც თქვენისთანების სავანეა. შერცხვენილი ვიყო მეთქი, ვიმეორებ, თუ თქვენი ოჯახი მგლებისა და ტურების ბუნაგად არ გადავაქციოთ (მიდის. სიმღერა კვლავ ისმის გუგუნით).

(ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

ტრიფონ რამიშვილი.

* * *

რაიცა ჰმოწმობს იაპონელთა მოახლოვებას. მისვლა-მოსვლა მუკდენსა და სინმინტინს შუა უკვე საშიშია.

პარიჟი, 21 სეკდ. (ვოლფი). მადრიდიდან მოვიდა დაწვრილებით ამბავი საფრანგეთ ესპანიის მოსალოდნელ მორიგებისა მაროკოსათვის. მორიგების შინაარსს არ ამხელენ და საიდუმლოდ აქვთ დაცული.

ჩემულპო. ამ ბოლოს დროს გადმოსხეს იაპონელთა ჯარი. სურსათი იაპონიის ლაშქრისათვის მიაქვთ გემებით იალუს შესართავამდე, იქიდან ნავებით შეხემამდე და მერე ფინხუანჩენს. საჩქაროდ აკეთებენ რკინის გზას შახეძიდან ფინხუანჩენამდე. ომის ველზე სიწყნარე ჩამოვარდა ამ ბოლოს ხანს. როგორც ეტყობა კუროკის ლაშქარი სცდილობს გარს შემოუაროს ჩვენის ჯარის მარცხენა ფრთას და მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთად. საფუძველია ვიფიქროთ, რომ გარ-შემოვლის გარდა, იაპონიის ლაშქარი ეცდება ზედ-მისევასაც. ხმა არის, რომ სეულში მოელიან იაპონიის მაშველს ჯარს 12,000 კაცამდე. ღონისძიებაა მიღებული გენზანის მეციხოვნეთა გასაძლიერებლად.

ტოკიო, (რეიტერი). 17 სეკდემბერს იაპონელებმა 50 ცხენოსანი ჰნახეს, რომელნიც ხუნხეში ნავებს ცეცხლს უკიდებდნენ და სწვავდნენ. იაპონიის ჯარებმა დაუშინეს თოფები მდინარის ორივ ნაპირიდან და ხელი შეუშალეს რუსებს. რუსთა მოხსენება, რომ დავწვით 17 ნავი იაპონელთა სურსათით დატვირთულიო, სიმართლეს მოკლებულია. 19 სეკდემბერს იაპონელთა როტა და რაზმი ცხენოსანთა, საზვერავად გაგზავნილი დაეცა რუსთა რაზმს, 60 კაცს და გაჰფანტა. იაპონელთა მზვერავს რაზმსაც დაეცა 230 კაცი. მოჰხდა ბრძოლა იაპონელთ უკან დაიწიეს დაუზარალებლად. რუსებს მოუკლეს 30 კაცი.

პეტერბურგი. გენერალ-მაიორი ორლოვი გადაყენებულ იქმნა თივის თანამდებობიდგან და დაინიშნა მთავარ-შტაბის უფროსის განკარგულებაში.

მუკდენი, 21 სეკდემბერი. (რეიტ.). დასავლეთისკენ, ასე 20 მილის მანძილზედ სინმინტინიდან, მოქმედებს რაზმი იაპონელთა და ხუნხუზთა, სულ 4,000 კაცი. ხუნხუზებმა შეადგინეს წესზედ დარაზმული ჯარი, რომელიც ყოველ დღე იბრძვის მოწინავე საფარ-სანგრებზედ.

შანჰაი, 21 სეკდემბერი. (რეიტერი). რუსნი ძრიელ ამაგრებენ მდინარე ხუნხეს. იაპონელთ თვალ-ყურს ადევნებენ ჰაეროსტატის შემწეობით. მუკდენს ახლო გამუდმებული შებრძოლებანია.—რაკი იაპონელებმა წყალ საყვანი ხელთ იგდეს, პორტ-არტურს უწყლობა აწუხებს. წყალს იღებენ ახლა არა ღრმა ჰებიდან.

ჩიფუ, 21 სეკდემბერი. (რეიტერი). პორტ-არტურის იერიშნი 6—10 სეკდ. ისეთი გამწვავებული ბრძოლა იყო, როგორიც იშვიათია ახალს ისტორიაში. ორივ მხრივ მებრძოლნი ისეთის გაათრებით ომობდნენ, რომ სწორე არ იქმნება, თუ მამაცობას ვუწოდებთ ამ გაავთრებას. არავინ ითხოულობდა შეწყალებას და არც არავინ იწყალებდა ვისმე. დედა-მიწა შეიღება სისხლით და სისხლის ზღვასა ჰგავდა. ხაგრძლივისა და გაშმაგებულის ბრძოლის გამო ჯარის კაცნი ჰკუა შეშლილებსა და მართლა შმაგებსა ჰგვანდნენ. იაპონელთა წადილი ის იყო, რომ ხელთ ეგდოთ ის ადგილნი ჩრდილოეთად, რომელნიც დაჰყურებენ ციხეს, რათა დაედგათ ზარბაზნები და დაეშინათ ყუმბარები ნავთ-სადგურის აღმოსავლეთ მხარესათვის და აგრედვე ახალის ევროპიულის ქალაქის ნაწილისათვის. 6 სეკდ. იაპონელებმა ძლიერებით დაუშინეს ყუმბარები იმ სერებს, რომელიც არიც უმთავრესი წ რე სიმაგრე ია. საშინელება იყო ქუხილი და გვრგვინვა დიდის ზარბაზნებისა.—ყვითელ ზღვაში ქარტეხილი მძვინვარებს. იაპონელთა ნაღმოსანი ფლოტილია იძულებული იყო სავანე მოეძებნა. ნაღმოსნები ძრიელ დაზიანდნენ. ჩინელთა მდგომარეობა ამ ომში მეტად სავაგლახოა: არც ერთი მებრძოლი არა თაკილობს მოიხმარ მოიშველიოს, მაგრამ თუ ერთ-ერთმა შეამჩნია, ჩინელნი ჩემს მტერს ეხმარებიანო, საშინელს სასჯელს აყენებენ. აუცილებლად საჭიროა, რომ ჩინეთის მდგომარეობა, როგორც ნეიტრალ დიდის სახელმწიფოსი, დაუყოვნებლივ იქმნას გამორკვეული. იაპონელთ უნდათ, რომ ალყა მტკიცედ ჰქონდეს შემორტყმული პორტ-არტურს და ამიტომ სდევნიან ყოველ გვარს ნავს, რითაც დიდად ავიწროებენ ნავოსნობას.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.): სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ,).

ზორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო - მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა.—კახეთის ქუჩა, სახლი ტ.რ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა —ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

განცხადებანი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგაან

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა მალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებელად მეოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად, და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება ხაყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დებ მიხეილ და სოლომონ ნაშრევანის-ძე ჯორჯაძეების მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ათას ხუთას ხუთმეტი მ. (1515), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსი თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდებათ ზემოხსენებულ თ-დ ჯორჯაძეებს

2—6—1.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებას სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—22)

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული-ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს აწ ლ ო მ ი ა.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

ТРЕУГ. С.ПЕТЕРБУРГЪ

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს **1860** წელს.

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნიეშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—52).

Дозволено цензурою Тифлисъ 22 сентября, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи